


THERMORY®

Thermory-ს გემბანის (დეკი) ხაზის პროდუქცია გადის ინტენსიური თერმული მოდიფიკაციის პროცესს, რაც ხეს ხდის უფრო გამძლეს, სტაბილურს გარემო პირობების ზემოქმედებაზე, ხოლო ვიზუალს კი თბილ ოქროსფერ-ყავისფერ იერსახეს სძენს. პროფილების გრძელვადიანი გამოყენებისთვის აუცილებელია მათი ინსტალაციისა და შენახვის სწორი ტექნიკების დაცვა. ქვემოთ მოცემული ინფორმაციული ინსტრუქციები შედგენილია ამჟამად პრაქტიკაში არსებულ საუკეთესო ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით და აუცილებელია ინსტალაცია მოხდეს მათი მიხედვით.

ინსტალაციისა და მოვლის სახელმძღვანელო

1. დასაწყობება
2. საჭირო სუბსტრუქტურის შექმნა და ტენიანობის თავიდან აცილება, დაზიანება
3. მონტაჟი ხრახნებით
4. სამონტაჟო სისტემები ფარული ფიქსაციისთვის
 - 4.1. უჟანგავი ფოლადის კლიფსები T-4 და T-6
 - 4.2. PC კლიფსი
 - 4.3. TENI® კლიფსი
 - 4.4. PaCS® (Press and Click System)
5. გემბანის (დეკის) მოვლა



1. დასაწყობება

უმჯობესია გემბანის (დეკის) დაფები (პროფილები) ინახებოდეს შიდა სივრცეში, რათა მზის ულტრაიისფერი (UV) სხივებისგან იყოს დაცული. მოგეხსენებათ, მზის სხივების მოქმედებით ბუნებრივი ხე იცვლის ფერს მოვერცხლისფრო-მონაცრისფერო ფერამდე. იმ შემთხვევაში, თუ პროფილების გარეთ შენახვა გინევთ, აუცილებელია რომ ისინი დალაგდეს თანაბრად, იატაკიდან მინიმუმ 150მმ-ით შემადღებულ ადგილას და გარედან შეიფუთოს წყალგაუმტარი, შუქგაუმტარი საფარით. საფარის ბოლოები დაუტოვეთ დაუმაგრებლად, რომ მოხდეს მათი ვენტილაცია და თავიდან

ავირიდოთ ტენიანობით გამოწვეული დაზიანება. ინსტალაციამდე დაფები არ დატოვოთ წვიმაში, რადგან შესაძლოა მჭიდროდ შეკრულ შეფუთვაში ვერ მოასწროს ბოლომდე გამოშრობა. საუკეთესო პირობაა, თუ დასაგებად გამზადებულ პროფილებს ინსტალაციამდე რამდენიმე კვირით ადრე შეინახავთ იმ ადგილას სადაც მოხდება მათი დაგება, რადგან ამ პერიოდში ხე ეგუება იქ არსებულ ტენიანობის პირობებს. ამ შემთხვევაშიც, გთხოვთ გამოიყენოთ საფარი რომ არ მოხდეს პროფილების დასველება/ ტენიანობით მიღებული დაზიანება.

2. საჭირო

სუბსტრუქტურის შექმნა და ტენიანობის თავიდან აცილება, დაზიანება


SUBSTRUCTURE

● Thermory-ს გემბანის (დეკი) პროფილები უნდა დამაგრდეს სწორ, ამაღლებულ კონსტრუქციაზე.

● კონსტრუქციის ჯოხები ერთმანეთისგან დაშორებული უნდა იყოს არანაკლებ 400მმ-სა.

● ბრენდი გვირჩევს, როგორც ხის ბაზას - თერმო ნაძვი, თერმო ფიჭვი, ასევე მეტალის კარკასს. სწორად შერჩეული და შექმნილი გემბანისქვეშა სუბსტრუქტურა გვარანძუნებს საბოლოო პროდუქტის გრძელვადიანობაში.



● თუ კარკასის ჯოხები 80მმ-ზე ნაკლებია, მასზე ორი დაფის სიგრძეზე დამაგრებისას აუცილებლად დარწმუნდით რომ ორივე პროფილის ბოლო დამაგრებული იყოს ცალ-ცალკე ჯოხებზე.



THERMORY-ის ექსკლუზიური JEM™ პროფილები

Thermory-ს ექსკლუზიურ JEM TM მონტაჟის სახეს არ სჭირდება დაფების ბოლოების დამთხვევა საყრდენზე. მისი ერთმანეთში ჩამჯდომი ბოლოები ამარტივებს

ამ პროცესს, შრომას, გვიმცირებს ნარჩენების რაოდენობას და ხარჯებს. აუცილებელია თითოეული პროფილი დამაგრებული იყოს მინიმუმ ორ ჯოხზე.



ტენიანობისგან გამოწვეული დაზიანების თავიდან აცილება

● დრენირება/ჩასამდინარი აუცილებელია, რომ წყალი მუდმივად ზემოდან არ გაჩერდეს. დარწმუნდით, რომ გემბანის ქვეშ არსებული იატაკი იყოს საკმარისი კუთხით დახრილი რომ თავიდან ავირიდოთ პროფილების ქვეშ წყლის დაგუბება.

● დამონტაჟებისას დაფებს შორის უნდა დატოვოთ დაახლოებით 4-8მმ ზომის დაშორებები. ეს მინიმუმამდე შეამცირებს ტენიანობის მომატებას, ობის და სოკოს განვითარებას.

● გემბანის დაფების გადაბმისას უმჯობესია დატოვოთ დაახლოებით 3მმ ზომის დაშორება უკეთესი ვენტილაციისათვის. (გარდა JEM joint შემთხვევისა, როდესაც პროფილები ერთმანეთს ებმევა/ ერთმანეთში ჯდება.)


● აუცილებელია ჰაერის ცილკულირება გემბანის ქვეშ, ამისათვის დაამონტაჟეთ მინიდან არანაკლებ 100მმ სიმაღლეზე.

● ხრახნებისგან შექმნილი რელიეფის თავიდან ასაცილებლად გთავაზობთ გამოიყენოთ დამალული კლიფსები.

● თუ თქვენს გემბანს აპირკეთებთ თერმო ნაძვით, დარწმუნდით რომ დაფის გულმკერდის მხარე არის სახით ქვემოთ. თერმო ფიჭვის შემთხვევაში კი ლამაზი (მეტად დამუშავებული) მხარე დატოვებთ ზემოთ.

● გემბანის ბოლოები და გვერდები უნდა იყოს ღია, რომ საკმარისი ჰაერის მიმოქცევამ არ დაუშვას ტენიანობის მაჩვენებლის ზრდა. იმ შემთხვევაში, თუ გსურთ გემბანის ბოლოების ჩახურვა, არსიის (პლინტუსის) გაკეთება, დაამონტაჟეთ იატაკიდან მინიმუმ 50მმ სიმაღლეზე და დაუტოვეთ სივრცე ჰაერის სამოძრაოდ. თუ გემბანი მიუყვება კედელს, ჩვენი რჩევაა მათ შორის დატოვოთ მინიმუმ 20მმ სივრცე.


● გემბანქვეშა ხის კონსტრუქცია უნდა დაფაროთ ულტრაიისფერ სხივებთან რეზისტენტული ლენტით, რომ მათი დაზიანებაც აირიდოთ თავიდან.



● გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ დაფების ბოლოებში არსებული ბზარები გამოწვეულია ჰაერის ტენიანობით და ეს ბუნებრივი პროცესია.

● პროფილი არ უნდა იყოს უშუალო კონტაქტში (ერთმანეთზე მიდებული) მეორე პროფილთან. გემბანის ხრახნით

● თუ პროფილის სიგანე 112მმ-მდეა ამ შემთხვევაში მათ შორის დაშორება უნდა იყოს 4მმ, ხოლო ამაზე ფართო ზომებისთვის დაფები ერთმანეთისგან დააშორეთ 6მმ-ით. ჰაერისთვის/ვენტილაციისთვის დატოვებული საკმარისი სივრცე ხელს უშლის ხის დაბრეცვას, ტენიანობის მომატებასა და ამოზნექილობას.



3. მონტაჟი ხრახნებით

● აუცილებლად გამოიყენეთ უჟანგავი ფოლადის ხრახნები გემბანის (დეკის) ინსტალაციისას.

● თერმო-კოპიტის პროფილზე საჭიროა წინასწარ ხრახნის ხვრელის გაკეთება, ბზარების თავიდან ასაცილებლად. ხვრელი უნდა იყოს 1მმ-ით დიდი დიამეტრის ვიდრე ხრახნი, რომ მოძრაობის შემთხვევაში ზეწოლა ხრახნზე არ იყოს.

● თერმო-ფიჭვის პროფილების ინსტალაციის დროს, დარწმუნდით რომ სამონტაჟო სისტემა საშალო სიმძლავრით აწვება პროფილის ზედაპირს.




პროფილებისთვის D1, D3-A, D3-2, D4, D15 R3, D11,

შეუქმენით დაფებს ქვეშ ჯოხებიდან 4-8მმ სიმაღლის ჰაერისთვის დატოვებული სივრცე.

მნიშვნელოვანია

იყოს ხრახნის თავი უნდა გაუსწორდეს დაფის ზედაპირს. შეუქმენით დაფებს ქვეშ ჯოხებიდან 4-8მმ სიმაღლის ჰაერისთვის დატოვებული სივრცე. არავითარ შემხვევაში არ უნდა ჩავიდეს ხრახნის თავი ხის ზედაპირის ქვემოთ, რადგან ეს გაზრდის წყლის შეწოვის რისკს. ასევე, ხრახნის ღრმად ჩასვლამ შესაძლოა ხე გახლიჩოს

თუ ხრახნით ინსტალაციას იყენებთ, დაიცავით დისტანცია დაფებზე: კიდეებიდან მინიმუმ 20მმ, ხოლო ბოლოებიდან მინიმუმ 35მმ. ამით თავიდან აირიდებთ პროფილის გაყოფას.



4. სამონტაჟო სისტემები ფარული ფიქსაციისთვის;

პროფილების სიგრძიდან გამომდინარე აუცილებელია თითოეული დამალული კლიფსი დამაგრდეს ქვედა კონსტრუქციაზე ხრახნით (უჟანგავი ფოლადი).

4.1 უჟანგავი ფოლადის კლიფსები T-4 და T-6

შავად დაფარული უჟანგავი ფოლადის სამაგრი T-4 ტოვებს 4მმ ზომის სივრცეებს გემბანის (დეკი) პროფილებს შორის, ხოლო T-6 6მმ-ს. ორივე მათგანი ქვედა ჯოხიდან 1.3 მმ-ით აშორებს დაფას.

THERMORY-ის გემბანის პროფილები sg2 გვერდითა ღარებით	თერმო-კოპიტი	
	T-4 კლიფსი 112 მმ-იანი D4sg2 პროფილისთვის	T-6 კლიფსი 112 მმ-ზე განიერი D4sg2 პროფილისთვის

(ხე-ხეზე კონტაქტის თავიდან ასაცილებლად) აუცილებელია წინასწარ გაიბურღოს ქვედა ჯოხი და შემდეგ დამაგრდეს პირველი და ბოლო დაფის გვერდები.




20 მმ სისქის D4 sg2 პროფილი



26 მმ სისქის D4 sg2 პროფილი

გვერდები დაიცავით დისტანცია კლიფსებს შორის, რომ შექმნათ დამატებითი სივრცე ვენტილაციისთვის. ამ მეთოდის დროსაც გირჩევთ ქვედა ჯოხი დაფართო ულტრაისფერიი სხივების მიმართ რეზისტენტული ლენტით, რომ თავიდან აიცილოთ ტენიანობით გამოწვეული დაზიანება.




	T-4 ან T-6 კლიფსების საჭირო რაოდენობა (ხრახნებთან ერთად): საჭიროა 2,7 კლიფსი 1 გრძივ მეტრზე. კლიფსები შეფუთვაში არის 500 ცალი+უჟანგავი ფოლადის ხრახნი.
---	---

იხილეთ საინსტალაციო ვიდეო




4.2. PC კლიფსი

<p>THERMORY- ის 26 მმ-იანი თერმო-ფიჭვისა და თერმო-ნაძვის გემბანის პროფილებისთვის, სვ გვერდითა ღარებით</p>	<p>Benchmark თერმო-ფიჭვი D4 sg, D30 sg</p>	<p>Benchmark და Kodiak თერმო-ნაძვი D4B sg</p>
---	--	---




D4 sg



D30 sg

● შავი პლასტმასის PC სამაგრი ტოვებს 6მმ-იან დაშორებას პროფილებს შორის. აღნიშნული კლიფსები დამზადებულია UV-სგან დამცავი და წყალგამძლე მასალისგან, რომელიც ოპტიმიზებულია გარემო

პირობებისთვის. ასევე, გამოიყენეთ ულტრაისფერი სხივების მიმართ რეზისტენტული ლენტი, რომ თავიდან აიცილოთ ტენიანობით გამოწვეული დაზიანება.




	<p>PC კლიფსის საჭირო რაოდენობა (ხრახნებთან ერთად):</p>
	<p>დაამაგრეთ 3 სამაგრი 1 გრძივ მეტრზე. კლიფსები შეფუთვაში არის 500 ცალი+უჟანგავი ფოლადის ხრახნი. გადაბმის ადგილას გამოიყენეთ ცალ-ცალკე კლიფსი ორი ცალკეული პროფილისთვის.</p>

იხილეთ საინსტალაციო ვიდეო




4.3. TENI® კლიფსი

<p>THERMORY- ის გემბანის პროფილებისთვის</p>	<p>Benchmark თერმო-კოპიტი D31, D32, D34, D38, D41</p>
--	---




D31




D41



D32



D38




D34

● TENI კლიფსები დამზადებულია UV-სგან დამცავი და წყალგამძლე მასალისგან (პოლიესიმეთილენი), რომელიც ოპტიმიზებულია გარემო პირობებისთვის. ისინი ტოვებენ 6მმ ზომის სივრცეებს.

● სამაგრებს მოყვება 4.2x45 მმ უჟანგავი ფოლადის ხრახნები, რომელიც შესაბამისია ხისა და ალუმინის ქვედა კონსტრუქციისთვის (უშუალოდ Thermory-ს წარმოების).

● სხვა სახის ალუმინის კარკასისთვის საჭიროა წინასწარი ხვრელების მომზადება. სამაგრის სისქე ქმნის 8მმ-იან დისტანციას პროფილსა და ქვედა ჯოხს შორის, შედეგად გვექმნება სივრე ვენტილაციის უზრუნველსაყოფად.



	<p>TENI კლიფსის საჭირო რაოდენობა (ხრახნებთან ერთად):</p>
	<p>დაამაგრეთ 3 სამაგრი 1 გრძივ მეტრზე. კლიფსები შეფუთვაში არის 100 ცალი+უჟანგავი ფოლადის ხრახნი.</p>

● თუ გემბანის დაფა 120მმ სიგანემდეა, გამოიყენეთ სამკუთხედი ფორმის კუთხე.

● თუ სიგანე 120მმ-ზე მეტია, ამ შემთხვევაში 2 კუთხე.

● წინასწარ მოამზადეთ ხვრელი ბურლით და შემდგომ დაამაგრეთ პირველი და ბოლო მწკრივი უჟანგავი ფოლადის ხრახნებით.

1. ინსტალაციის შემდგომ ამოიღეთ სამკუთხა კუთხე, რადგან ისინი მხოლოდ დაფების თანმიმდევრულ სიმაღლეზე დალაგებისთვის დაგჭირდებათ.



2. მოათავსეთ TENI კლიფსი დაფის ქვეშ და მჭიდროდ დააჭირეთ.



3. ჩადეთ ხრახნი ხვრელში და დაამაგრეთ.



4. თანმიმდევრულად დაალაგეთ დაფები და დარწმუნდით, რომ პროფილი გამყარებულად დამაგრდა სამაგრზე.



5. სიგრძეზე ორი დაფის დამონტაჟებისას დარწმუნდით, რომ ორივე დაფის ბოლოები დამაგრებულია ცალ-ცალკე სამაგრებსა და ჯოხებზე..



● მოგვიანებით TINI სამაგრების გამოცვლა არ მოითხოვს დიდ ძალისხმევას და არ არის საჭირო პროფილების სრულად მოხსნა. ერთი პროფილის მოსახსნელად დაგჭირდებათ ლურსმნის ამოსაღები (ლომი).

● მოათავსეთ იგი პროფილებს შორის და ნელი მოძრაობით, ფრთხილად ანიეთ დაფა მოსახსნელად. ამის შემდეგ შეგიძლიათ დაწკაპუნების საშუალებით ჩაანაცვლოთ ახალი პროფილით, ან დააბრუნოთ პირვანდელი თუ ის დაუზიანებელია.



იხილეთ
საინსტალაციო
ვიდეო



4.4. PaCS® (დაპრესვა და ფიქსაცია)



PaCS პროდუქციის ასორტიმენტი აერთიანებს მაღალი ხარისხის თერმო ხის მოდელებს, რომელთა ინსტალაციაც შესაძლებელია Grad სისტემით. ეს პროდუქტი შეიქმნა ფარული და სწრაფი ფიქსაციისათვის. PaCS გამოიყენება პროფილებისთვის, რომლებსაც აქვთ წინასწარ გამზადებული ქარხნული ჭრილები (ღარები) ქვედა მხარეს და იდეალურად ერგება Grad სისტემის სამაგრებსა და ალუმინის რელსს (ასევე წინასწარ Thermory-სგან დამონტაჟებული კლიფსებით). შედეგად, არ შეიძლება ხილული ხრახნიანი თავები დაფეხზე და მხოლოდ დაჭერით ჯდება პროფილი თავის ადგილზე.

THERMORY-ის გემბანის პროფილებისთვის

Benchmark თერმო-კოპიტი D45J, D4J


Benchmark თერმო-ფიჭვი D45J, D30J



პროფილები მარტივი დაპრესვის შედეგად ფიქსირდება.




თერმულად მოდიფიცირებული კოპიტი **D45J**, 21x118 მმ



თერმულად მოდიფიცირებული კოპიტი **D4J**, 26x118 მმ



თერმულად მოდიფიცირებული ფიჭვი **D45J**, 26x118 მმ



თერმულად მოდიფიცირებული ფიჭვი **D30J**, 26x118 მმ

გემბანის პროფილს D45J-ს აქვს ოდნავ მომრგვალებული ზედაპირი, რის გამოც მასზე წყალი არ გუბდება.

PaCS strip არის ექვსკლიპიანი ზოლი, რომელიც აფიქსირებს სამ დაფას ერთ ჯოხზე. ეს ზოლები ერთმანეთთან უნდა იყვნენ დაკავშირებული უჟანგავი ფოლადის ხრახნებით. აღნიშნული ზოლი ტოვებს 5მმ-იან დაშორებას დაფებს შორის, ხოლო კლიფსის სისქე ქვედა ჯოხიდან ზედა პროფილს 5მმ-ით აშორებს, რათა უზრუნველყოს საჭირო ვენტილაცია.

1. მას შემდეგ რაც ქვედა სუბსტრუქტურას/კონსტრუქციას შექმნით კლიფსების ყველა მწკრივი შეუსაბამეთ ჯოხებს.
2. დამონტაჟეთ 2-3 PaCS strip ყოველ ჯოხზე და შეამოწმეთ მოგვებით თუ არა ეს საშუალებას რომ მორგოთ დაფები.
3. დაინსტალირეთ დაფები მარტივად, მხოლოდ მასზე ხელის დაჭერით.
4. გაიმეორეთ ეს ნაბიჯები მანამ სანამ არ დაასრულებთ გემბანის დაყენებას. გამოიყენეთ PaCS strip რეკომენდირებული რაოდენობა.

PACS STRIPS საჭირო რაოდენობა: 7,5 ზოლი 1 კვადრატულ მეტრზე + 4x30 ზომის უჟანგავი ფოლადის ხრახნები.


შეფუთვაშია: 300 ცალი + ხრახნები.



სიახლე!

PaCS Alu Rail 56 და PaCS Alu Rail Start 118 მმ-იანი პროფილებისთვის

გრძელვადიანი მოხმარებისთვის შეიქმნა ახალი სახის PaCS Alu Rail, რომელიც გვადლევს საშუალებას, რომ მასზე განთავსებული პროფილი მოვხსნათ და შევცვალოთ ახლით, არსებული კლიფსების შეცვლის გარეშე.



სპეციალური გასაღები პროფილების ამოსაღებად



PaCS Alu Rail 56

PaCS Alu Rail 56 არის ალუმინის ჯოხი, წინასწარ დამონტაჟებული კლიფსებით. აღნიშნული რელსით, პროფილები ამალდება 62მმ-ით. (რელსი 56+კლიფსები 6მმ).

საინსტალაციო კომპლექტაციაში წარმოდგენილია ჯვარედინი დამაკავშირებელი ქანჩები, სამაგრები ფიქსაციისთვის, რეზინის ზოლები რელსების ქვეშ და დაფების ამოსაღები გასაღებები.

საჭირო რაოდენობა:

1,4 რელსი 1 კვადრატულ მეტრზე.

PaCS Alu Start Rail

ალუმინის ჯოხი წინასწარ გამზადებული, დამაგრებული კლიფსებით, რაც უზრუნველყოფს დაფის ამალდებას 6მმ-ით. აღნიშნული რელსი უნდა დამაგრდეს უჟანგავი ფოლადის ხრახნებით ყოველ 500მმ-ში. ჯამში დაფების ამალდება ხდება 18მმ-ით (რელსი 12მმ+კლიფსი 6მმ).



საჭირო რაოდენობა:


1,4 რელსი 1 კვადრატულ მეტრზე.

პკითხეთ თქვენს Thermory გაყიდვების წარმომადგენელს სამონტაჟო აქსესუარების შესახებ, როგორცაა დამაკავშირებელი ქანჩები, სამაგრები ფიქსაციისთვის, რეზინის ზოლები და დაფების ამოსაღები გასაღებები.

იხილეთ საინსტალაციო ვიდეო



PaCS Alu Rails-ის სიგრძეზე დასაკავშირებლად გამოიყენეთ დამაკავშირებელი ქანჩები



რეკომენდებულია გამოიყენოთ 2-დან 4 მმ-მდე რეზინის ზოლი რელსის ქვეშ.

5. გემბანის (დეკის) მოვლა.

მას შემდეგ, რაც გემბანის ინსტალაციას დაასრულებთ, მნიშვნელოვანია გაასუფთავოთ ზედაპირი ნარჩენებისგან, ხიჭვებისგან და სხვა ისეთი ნარჩენებისგან რომელთაც შეუძლიათ წარმოქმნან ობის საფრთხე (ტენიანობის მატების საფუძველზე).

მსგავსად ყველა სხვა ბუნებრივი, ნატურალი ხის Thermory-ს პროდუქტებიც დროთა განმავლობაში იცვლის ფერს და ხდება ლამაზი მოვერცხლისფრო-ნაცრისფერი.

აღნიშნული იწყება მას შემდეგ, რაც პროფილები დაინსტალირებულია და იწყებს გარემო პირობებთან შეგუებას. გავრცხლისფერების პროცესს შესაძლოა თვეები ან წლები დასჭირდეს, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად ინტენსიური ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედების ქვეშაა პროდუქტი.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი სურვილია ხის თავდაპირველი ფერის შენარჩუნება, უნდა გამოიყენოთ ულტრაიისფერი სხივების მიმართ რეზისტენტული მინერალური ზეთი.

ორგანული ზეთების გამოყენება არ არის რეკომენდირებული გარე სივრცეში ან ნესტიან ადგილებში, რადგან ეს ქმნის ხელსაყრელ გარემოს ბიოლოგიური ორგანიზმების კვებით უზრუნველყოფისათვის. როგორცაა მაგალითად ბაქტერიები, ობი და სხვა.



Thermory Benchmark თერმო-კოპიტის დეკი. გახუნებული



Thermory Benchmark თერმო-ფიჭვის დეკი. გახუნებული

დასუფთავება

თერმულად დამუშავებული ხე შეგიძლიათ განმინდოთ ხის გამწმენდით და თბილი წყლით. დიდი მოცულობის ქუჩყს და მტვერს უნდა გაუმკლავდეთ

მექანიკურად (მაგ: სარეცხი ჯაგრისით). გადასარეცხად

შეგიძლიათ გამოიყენოთ ეზოს მილი (შლანგი), რომელსაც აქვს სპრეის ფუნქცია ცხვირთან. პირველ რიგში მოსინჯეთ პატარა მონაკვეთზე, რომ გამორიცხოთ წნევის გამოწვეული დაზიანება.